

# რელიგიური აქტორების პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი გლობალიზაციის პროცესში

თინათინ გოგუაძე

## POLITICAL AND LEGAL ROLE OF RELIGIOUS ACTORS IN THE PROCESS OF GLOBALIZATION

Tinatin Gogvadze

### რეზიუმე

დღევანდელ, დინამიურობით აღსავსე მსოფლიოში, როდესაც პროგრესირებადი ტემპებით მიმდინარეობს საერთაშორისო საზოგადოების გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პროცესის შესწავლას და შეცნობას, როგორცაა გლობალიზაცია. 21-ე საუკუნეში გლობალიზაცია უკვე გახდა მსოფლიო სისტემის განუყოფელი ნაწილი. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება ამ პროცესში სულიერი ფაქტორების როლის დადგენა. აქედან გამომდინარე, აქტუალურობას იძენს საკითხი გლობალიზაციისა და მსოფლიო რელიგიების მიმართების შესახებ. ნაშრომის მთავარი მიზანია, წარმოჩინდეს რელიგიების გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, მოხდეს მათი როლის განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობებში. განხილულია სხვადასხვა რელიგიის დამოკიდებულება გლობალიზაციის პროცესისადმი. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ისლამურ ფუნდამენტალიზმზე, რაც უშუალოდ კავშირშია გლობალიზაციასთან. უფრო კონკრეტულად შეიძლება ითქვას კიდევ, რომ იგი არის გლობალიზაციის პროცესის შედეგი.

### RESUME

In the dynamically filled today's world, when the global political and economical development of international society goes with progressive rate, it is very significance to study globalization process. In the 21-st century, globalization already became an indivisible part of world system, on this condition it is inevitable to evaluate the spiritual factors role in this process., hence it follow that it is very actual thing relationship with globalization and world religions. The main goal of work is, to show the religion influence on the political processes, to determine their role in international relations. There is considered dependence of various religions on globalization process, the most accent is on the Islamic fundamentalism, that is directly connected to globalization, to say more concretely it is the result of globalization process.

## შესავალი

21-ე საუკუნის დასაწყისში კავკასიამ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური სტატუსი შეიძინა და მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა. „ცივილიზაციათა ომის“ იდეამ რელიგიური ფაქტორი სახელმწიფოთაშორისი დიალოგის აუცილებელ ნაწილად აქცია. რელიგია, ხშირ შემთხვევაში, გახდა პოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალება. კავკასიაში სიტუაციის დაძაბვა ზემოთ ნახსენებმა ფაქტორმაც განაპირობა. გაჩნდა ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხე, რომელიც სათავეს, ძირითადად, სპარსეთის ყურისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული სუნიტური მიმართულების რადიკალური ხასიათის მიმდინარეობიდან იღებს.

ბოლო პერიოდის მოვლენებმა ცხადჰყო, რომ კავკასია დასავლეთისა და აღმოსავლეთის აქტიურ ინტერესთა სფეროში მოხვდა. ზოგ შემთხვევაში ხდება ინტერესთა დაპირისპირება, ზოგჯერ თანხვედრა (მაგ. პუტინისა და ბუშის შეხვედრა ტეხასის სამიტიზე), ერთი მხრივ, რუსეთისა და მის მოკავშირეთა და მეორე მხრივ, დასავლეთის ჩარევა რეგიონალურ პროცესებში, რაც ახლო მომავალში ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში სამხედრო პოლიტიკური მოვლენების გააქტიურებას მოასწავებს. ამ პროცესების სათავე ჯერ კიდევ XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში უნდა ვეძიოთ.<sup>1</sup> აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნეოევრაზიულობისა და ნეოატლანტიზმის მეტოქეობის ერთგვარ პოლიგონად ახლო წარსულში საქართველოს პანკისის ხეობა გადიქცა, რომელსაც 1999-2003 წლებში თავი შეაფარა კავკასიაში მოქმედმა რადიკალურმა ისლამურმა ერთ-ერთმა დაჯგუფებამ. ამასთან, ზემოთხსენებულ მხარეში საგრძნობლად გაიზარდა ვაჭაბიტური რელიგიური მიმდინარეობის მომხრეთა რიცხვი - გაჩნდა ქვეყნის „ლიბანიზაციის“ საშიშროება. იმ პერიოდში საქართველომ, როგორც საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის აქტიურმა წევრმა, სხვა სახელმწიფოების დახმარებით შეძლო თავიდან აეცილებინა ქვეყნისათვის საშიში გამონვება.

პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთობის პრობლემა ისევე ძველია, როგორც თვითონ პოლიტიკა და რელიგია. ამიტომ ამ საკითხის გარშემო დიდძალი მეცნიერული ლიტერატურაა დაგროვილი. ამას ემატება ამ ურთიერთობის მრავალწლიანი შთამბეჭდავი გამოცდილება. გლობალიზაციის პროცესი, საზოგადოებრივ და ადამიანურ ურთიერთობათა თითქმის ყველა სფეროში აღწევს და ხშირ შემთხვევაში, სრულად მოიცავს სოციალური რეალობის მთელ სპექტრს. ამდენად, გლობალიზაციის ცნების შინაარსი ძალიან ტევადია. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც ტერმინ „გლობალიზაციის“ წარმოშობა განაპირობა, არის კულტურათა ურთიერთზეგავლენა, რომელიც, თავის მხრივ, მუდმივად პროგრესირებადი პროცესია. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება ამ პროცესებში სულიერი ფაქტორების როლის დადგენა.

აქედან გამომდინარე, აქტუალურობას იძენს საკითხი გლობალიზაციისა და მსოფლიო რელიგიების მიმართების შესახებ. სწორედ ამ აქტუალურ საკითხს ეხება ჩემი ნაშრომიც. ისმის კითხვები: რა როლს ასრულებს გლობალიზაციის პროცესში რელიგია და პირიქით, არის თუ არა რელიგია დამოუკიდებელი, სუვერენული ფაქტორი, თუ დამოკიდებულია სხვა მატერიალურ ფაქტორებზე, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს გლობალიზაციის პროცესს? რა როლს ასრულებენ რელიგიური აქტორები საერთაშორისო ურთიერთობებში? რა მიმართებაშია გლობალიზაციის პროცესთან მსოფლიო რელიგიები? ნაშრომის მთავარი თეზისია: რელიგიების გავლენის ზრდა პოლიტიკურ პროცესებზე, რელიგიური (ისლამური) ფუნდამენტალიზმი - გლობალიზაციის შედეგი.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი მიზანია, წარმოჩინდეს რელიგიების გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, მოხდეს მათი როლის განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობებში.

<sup>1</sup> ვ. მაისაია, ბ.ობოლაძე - თბილისი 2009წ. გვ3

## 1. გლობალიზაცია და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები

ტერმინი „გლობალიზაცია“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცნებაა XXI საუკუნის დასაწყისში. დღევანდელ სამყაროს უწოდებენ გლობალურ სამყაროს, ეპოქას - გლობალიზაციის ეპოქას, ხოლო თანამედროვე პერიოდის ძირითად დაპირისპირებად ლამის „გლობალისტებსა“ და „ანტიგლობალისტებს“ შორის წინააღმდეგობას მიიჩნევენ. გლობალიზაცია, ფართო მნიშვნელობით, როცა იგი ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და შეზღუდვების გაუქმებას გულისხმობს, 1990 წლიდან გამოიყენება, როცა გამოქვეყნდა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის იაპონელი კონსულტანტის კ. ომეს ნიგინი „მსოფლიო საზღვრებს გარეშე“ და კრებული „გლობალიზაცია, შემეცნება და საზოგადოება“, რომლის შესავალში, მ. ელბროუმ ამ ტერმინში გააერთიანა ყველა ის პროცესი, რომელთა წყალობით მსოფლიო ხალხები ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში ერთვებიან.<sup>2</sup>

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის, ენტონი გიდენსის, მიხედვით, გლობალიზაციამ შეიძლება განსაზღვროს, მსოფლიო სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტენსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს ერთმანეთთან იმგვარად აკავშირებს, რომ ადგილობრივი მოვლენები ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენებით და პირიქით.

გერმანელი მეცნიერი ემანუელ რიხტერი თვლის, რომ გლობალიზაცია ეს არის გლობალური ქსელი, რომელმაც ადრე იზოლირებული და გაფანტული საზოგადოებები ერთი სამყაროს ურთიერთ-დამოკიდებულ ერთობად „შეადუღა“.

ამერიკელი პოლიტოლოგის, რობერტ კოქსის, განმარტებით, გლობალიზაცია გულისხმობს პროდუქციის ინტერნაციონალიზაციას, შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, ახალ მიგრაციულ მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ახალ დაპირისპირებულ გარემოს, რომელიც აჩქარებს ყველა ამ პროცესს და ბოლოს, სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას, რაც მათ გლობალური სამყაროს უბრალო აგენტებად აქცევს.

## 2. რელიგიის გავლენა თანამედროვე გლობალიზაციაზე პოლიტიკურ სივრცეში

ყველა რელიგიას ამ პროცესისადმი საკუთარი პოზიცია გააჩნია. გლობალიზაციის სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს ისლამური ქვეყნების უმრავლესობა (გამონაკლისია მალაიზია, ინდოეთი, რომლებიც იხრებიან გლობალიზაციისკენ, გაურკვეველია თურქეთის ბედიც). ისლამში, როგორც რელიგიაში, ძვეს ის, რაც პრინციპულად შეუთავსებელია გლობალიზაციასთან, დემოკრატიაზე გლობალისტურ წარმოდგენასთან.

ისლამი გლობალიზაციას აღიქვამს, როგორც დასავლეთის ქრისტიანობის მცდელობას მოახდინოს მუსულმანური სამყაროს ტრანსფორმაცია და აქციოს იგი საკუთარ მარგინალურ ანალოგად. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, აქ გლობალიზაციის პროცესისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება. თუმცა მთლიანობაში იგი მას ეწინააღმდეგება. მაგალითად, რუსეთში საუკუნეების განმავლობაში ეკლესია ბრმად ემორჩილებოდა სახელმწიფოს და მასში რეფორმატორული მოძრაობა თითქმის არ არსებობდა. 80-იანი წლების ბოლომდე თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის მოწინააღმდეგე იყო კომუნისტური სისტემა და იდეოლოგია. მის წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთი მზად იყო დაეცვა ნებისმიერი რელიგიური ცნობიერება. ამჯერად კომუნისტური იდეოლოგიის კრახის პირობებში მის საქმეს აკეთებს ისლამი.

ყოველი რელიგია გლობალიზაციის საკუთარ ხედვას გვთავაზობს და თითოეულ მათგანში, ძირითადად, ჩადებულია თვითგადარჩენისა და თვითშენარჩუნების იდეები და გზები. ერთი დამა-

<sup>2</sup> OHMAE, 1990 41-44pp

ჯერებელი ნეგატიური ან პოზიტიური პოზიცია არ არსებობს, დომინანტურია სამი ძირითადი პოზიცია: ადაპტაცია, ბრძოლა და საკუთარი ალტერნატივა. <sup>3</sup>გლობალიზაციის იდეისადმი მეტნაკლებად ადაპტაციით გამოირჩევა პროტესტანტიზმი. პროტესტანტები თავიანთ თავს გლობალიზაციის მონაწილეებად თვლიან. ამ ტიპის ადაპტაციისთვის დიდ ძალებს ხარჯავს კათოლიციზმი, რომელიც მისდამი ფრთხილი დამოკიდებულებით ხასიათდება. გლობალიზაციაზე ადაპტაციის მაღალი ხარისხით ბუდიზმთან ერთად ინდუიზმი გამოირჩევა. მიმდევრები მასში ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავენ. ადაპტაციას აქ აქვს ასიმილაციური ხასიათი. აღმოსავლეთის რელიგიები ადვილად ახდენს გლობალიზაციის იდეის ინკორპორირებას საკუთარ თეოსოფიურ მსოფლმხედველობაში. დაახლოებით ასეთი პოზიცია აქვთ მათ იუდაიზმისა და ქრისტიანობის მიმართაც. გლობალიზაცია მათ არა მარტო ხელს არ უშლის, არამედ, პირიქით, ზოგჯერ ის შეიძლება, საკუთარი სიმართლის არგუმენტადაც გამოდგეს. და ბოლოს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია გლობალიზაციისადმი ნათლად არის გამოხატული სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში, რომელიც რეალობის იგნორირებას კი არ ახდენს, არამედ გვთავაზობს მისდამი გონივრულ მიდგომას და გლობალიზაციის პროცესის იმგვარს გააზრებას, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული და რელიგიური იდენტურობის შნარჩუნებას. ერთი სიტყვით, გლობალიზაციისა და რელიგიის ურთიერთობა მრავალვარიანტულია. გლობალიზაცია არ ნიშნავს რელიგიისა და რელიგიურობის გაქრობას, მაგრამ, გარკვეული აზრით, მათი შერევა აუცილებლად იგულისხმება, ოღონდ ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს რაღაც „საშუალო რელიგიის“ წარმოშობა.

თავისი ბუნებით, რელიგიები ისწრაფვიან ტრანსნაციონალური მიზნებისა და საერთაშორისო სტრატეგიების განვითარებისკენ. მათ შეუძლიათ, გასცდნენ საზღვრებს, რასაც ვერ ახერხებს ვერც ერთი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. რელიგიური ფაქტორები არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი გავლენით გადაწყვეტილებების მიღებასა თუ საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე; პარალელურად ისინი ახდენენ უფრო სტრუქტურირებულ გავლენას და ეს გავლენა მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო მყარია მათი ბუნება, ვიდრე ცვალებადი საზოგადოებრივი აზრის ევოლუცია. ეს ფაქტორები მოქმედებენ მენტალიტეტზე და დღითიდღე უფრო იშვიათად განიცდიან ცვლილებას. შესაძლოა, რელიგიები მოკვდავნი არიან, მაგრამ მათი არსებობა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სახელმწიფოებისა. რეჟიმებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ სურდათ რელიგიური აღმსარებლობების განადგურება XX საუკუნეში ამის ნათელი დემონსტრირება მოახდინეს.

### **3. ცივილიზაციითა შეჯახება ისლამური ფუნდამენტალიზმის გლობალურ ერაში**

სამუელ ჰანტინგტონი თანამედროვე მსოფლიოში რვა ცივილიზაციას გამოყოფს: დასავლურს, სლავურ-მართლმადიდებლურს, კონფუციანურს, იაპონურს, ისლამურს, ინდუისტურს, ლათინო ამერიკულს და შესაძლოა, აფრიკულს. უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დასავლეთი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცივილიზაცია. <sup>4</sup>აქ მოხდა ყველა დიდი აღმოჩენა მეცნიერებასა და ტექნიკაში. მსოფლიო პოლიტიკას ბოლო ხუთი საუკუნის მანძილზე დასავლეთი წარმართავს. ასეთ პირობებში იქმნება წარმოდგენა დასავლური ცივილიზაციის უნივერსალურობის შესახებ, რომ იგი ზეცივილიზაციაა და იმისთვის, რომ ამა თუ იმ ხალხმა პროგრესს მიაღწიოს, აუცილებლად უნდა ეზიაროს მას. ხოლო თუ დასავლური ცივილიზაციის ღირებულებები გავრცელდება მთელს მსოფლიოში, მაშინ საყოველთაო მშვიდობა, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა გარანტირებული იქნება. ამიტომ დასავლეთი, იყენებს რა მის ხელთ არსებულ გრანდიოზულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფინანსურ თუ პროპაგანდისტულ შესა-

<sup>3</sup> <http://www.e-ir.info/2014/07/16/religion-and-globalization-new-possibilities-furthering-challenges/>

<sup>4</sup> სამუელ ჰანტინგტონი, თბილისი 1997 გვ22-49



ძლებლობებს, აქტიურად ცდილობს დასავლური ფასეულობები მაქსიმალურად გაავრცელოს მთელს მსოფლიოში. ამის საუკეთესო საშუალება კი გლობალიზაციაა, რაც განვითარებად სამყაროში ბევრის მიერ აღიქმება, როგორც დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს აშკარა ექსპანსია.

სწორედ დასავლეთის შიშმა, კერძოდ, იმის რწმენამ, რომ დასავლური ცივილიზაცია ანადგურებს ეროვნულს, ტრადიციულს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბლალავს რელიგიურ სინამდევებს და ნორმებს, წარმოშვა დასავლეთთან მკვეთრად დაპირისპირებული იდეოლოგია და მოძრაობა, რომელსაც ფუნდამენტალიზმი ეწოდება. ცნება „ფუნდამენტალიზმი“ გულისმობს ნებისმიერ უკიდურესად კონსერვატორულ მიმდინარეობას როგორც თანამედროვე რელიგიებში, ისე პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროებში. თავდაპირველად ფუნდამენტალიზმი აშშ-ში ჩამოყალიბდა, როგორც პროტესტანტიზმის უკიდურესი კონსერვატორული ფორმა, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ მეცნიერულ ახსნას ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებში, უპირისპირდებოდა რა მის პოსტულატებს.<sup>5</sup>

ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს როგორც დასავლეთში, ისე მართლმადიდებლურ სამყაროში. კერძოდ, ქრისტიანული ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „ღმერთის არმიის“ ნამოქმედარია ტერორისტული აქტი ოკლაჰომა-სიტიში, რომელმაც 167 კაცი იმსხვერპლა. საყოველთაოდ არის ცნობილი ისეთი ფუნდამენტალისტური სექტები, როგორიცაა „დავითის შთამომავლები“ და „ღვთის ხელი და მახვილი“, თუმცა ამერიკაში მათ უბრალოდ ფანატიკოსებს უწოდებენ და ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის არსებობას უარყოფენ. ბოლო წლებში ძლიერდება მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმიც, რომელიც სასტიკად ებრძვის „მწვალებელთა“ ე.ი. დასავლური ქრისტიანობის ნებისმიერ მოქმედებას მართლმადიდებლურ სამყაროში.

მაგრამ ყველაზე რადიკალური და აგრესიული ისლამური ფუნდამენტალიზმია. თვლის რა, რომ დასავლეთი და კერძოდ, ამერიკა, დიდი სატანაა, რომელიც მართავს კაცობრიობას. ისლამისტები მოუწოდებენ ყველა მართლმორწმუნე მუსლიმს საღვთო ომი ანუ ჯიჰადი გამოუცხადონ ურწმუნოებს, გაათავისუფლონ მსოფლიო სატანისგან და კაცობრიობა დააბრუნონ „ისლამური ცივილიზაციის ოქროს საუკუნეში“.

თუ გავითვალისწინებთ ისლამური ფანატიზმის მასშტაბებს და რწმენას, რომ ურწმუნოებთან ომში დაღუპული მუსლიმი პირდაპირ სამოთხეში ხვდება, ადვილი გასაგები უნდა იყოს ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხე. მით უფრო, რომ მისი სამოქმედო გზა ტერორიზმია. რასაკვირველია, ისლამური ფუნდამენტალიზმის ანუ ისლამიზმის სწრაფ და მზარდ გავრცელებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. აქ, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს ისლამური სამყაროს ხანგრძლივი, კოლონიური დამოკიდებულება დასავლეთზე, პალესტინის პრობლემის მოუგვარებლობა, დასავლეთის მიერ ისრაელის მხარდაჭერა, ისლამის ნორმებისადმი სრული და მიუღებელი ზნეობრივი ნორმების პროპაგანდა და მუსლიმანური ქვეყნებისათვის ამერიკული ცხოვრების სტილის თავს მოხვევა. რადგან ეს უკანასკნელი გლობალიზაციის პროცესთან ასოცირდება, ისლამური ფუნდამენტალიზმი გლობალიზაციის პროცესის მთავარ მოწინააღმდეგედ გვევლინება.<sup>6</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამიზმი ებრძვის გლობალიზაციას, როგორც დასავლური ცხოვრების წესის გავრცელებას. მაგრამ იმავდროულად, თვითონ არის „ისლამური გლობალიზაციის“ იდეების მატარებელი, თვლის რა, რომ სწორედ ისლამური ნორმების და ისლამური ცივილიზაციის საყოველთაო გავრცელება იქნება მშვიდობისა და კეთილდღეობის გარანტი.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტალიზმი თვითონ არის გლობალური მოვლენა და გლობალიზაციის პროდუქტი. კიდევ ერთი გარემოება იქცევა ყურადღებას. ნებისმიერი რადიკალური მოძრაობა და მით უმეტეს, ტერორიზმი, მაშინ აღწევს გარკვეულ წამატებას, თუ იგი ფინანსურად არის უზრუნველყოფილი. ისლამური ფუნდამენტალიზმი მას შემდეგ აღორძინდა, რაც ისლამურ

<sup>5</sup> [http://www.almasjid.com/content/fundamentalism\\_and\\_terrorism](http://www.almasjid.com/content/fundamentalism_and_terrorism)

<sup>6</sup> <http://www.mustaqim.co.uk/fundamentalism.htm>

კერძოდ არაბულ სამყაროში ნავთობის უმდიდრესი საბადოები აღმოჩნდა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ლატაკი და ჩამორჩენილი ქვეყნები უმდიდრეს, აყვავებულ სახელმწიფოებად აქცია. განსაკუთრებით საშიში ისლამური ფუნდამენტალისტების ტერორისტული ჯგუფებია, რომელთა სახელთან არის დაკავშირებული უამრავი აფეთქება, მკვლელობა, თვითმფრინავის გატაცება და ა.შ. მარტო ალჯირში ფუნდამენტალისტებმა 30-ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეინარეს.<sup>7</sup>

ყველაზე უფრო მთავარ ტერორისტულ ისლამურ დაჯგუფებებს მიეკუთვნებიან: ა) „ჰეზბო-ლაჰი“ - ლიბანის რადიკალი შიიტების ორგანიზაცია; ბ) არაბული „ისლამური ჯიჰადი“ და „ჰამასი“, რომლებსაც საღვთო ომი აქვთ გამოცხადებული ისრაელთან და მის მხარდამჭერებთან; გ) „ჯამაათ ალ-ისლამი“, რომელიც იბრძვის ისლამური სახელმწიფოების შექმნისათვის ცენტრალურ აზიაში. მას შტაბბინა ავღანეთში ჰქონდა; დ) „ლაშქარ-ე-თაიბი“- პაკისტანის რადიკალური ისლამისტური მოძრაობა; ე) „თალიბანი“ - უკიდურესად კონსერვატორულ-რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც 1995-2002 წლებში მმართველი ძალა იყო ავღანეთში; ვ) „ალ-კაიდა“ - ექსტრემისტულ-ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია უსამა ბენ-ლადენის ხელმძღვანელობით, რომლი სახელთან არის დაკავშირებული ყველაზე გახმაურებული ტერორისტული აქტები.

სწორედ უსამა ბენ-ლადენის და „ალ-კაიდა“-ს სახელთანაა დაკავშირებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, რასაც უზარმაზარი გამოხმაურება მოჰყვა, ძირეულად შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი და ბევრის აზრით, ცივილიზაციებს შორის ომის დაწყებას დაუდო სათავე.<sup>8</sup>

#### **4. ტერორიზმის ახალი სახე და რეალობა XXI საუკუნეში: „ემოგარი რელიგიური მოძრაობა“ – მითი თუ რეალობა?**

XXI საუკუნე და ახალი ათასწლეული დაიწყო გამოწვევებით, რომლებიც საბოლოოდ დაგვირგვინდა ტერორისტული აქტებით ნიუ-იორკში, პენსილვანიასა და ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბერს. ახალი „ამერიკული ტრაგედია“ გადაჭარბების გარეშე შეიძლება იყოს გაიგივებული ისეთ ისტორიულ მოვლენებთან, როგორც იყო ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის, არცჰერცოგ ფერდინანდის სასტიკი მკვლელობა 1914 წელს სარაევოში. ამ მკვლელობამ პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია და აგრეთვე აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ 1945 წლის აგვისტოში განხორციელებული მასირებული ბირთვული შეტევები იაპონიის ქალაქებზე ხიროსიმასა და ნაგასაკიზე.

ზემოაღნიშნული მოვლენების შუქზე „ამერიკულ ტრაგედიას“ ძალუძს მთლიანად შეცვალოს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემა და წარმოადგინოს ახალი მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრები. ამიტომ მსოფლიოს პოლიტიკის შესწავლის პროცესში ხშირად გამოიყენება ტერმინი „აქტორი“, ანუ მსოფლიო მასშტაბის სუბიექტ-ძირითადი შემსრულებელი. „აქტორის“ ცნება შეიძლება გავავრცელოთ ქვეყნებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე, მრავალეროვან გაერთიანებებზე, მსოფლიო დონის ლიდერებზე და ადგილობრივ არასახელმწიფო ეროვნებებზე.<sup>9</sup> ბოლო დროის ყველაზე ახალი საერთაშორისო ტრანსნაციონალური ტერორისტული კარტელი (ITTC – INTERNATIONAL TERRORIST TRANSNATIONAL CARTELS) არის „ალ-კაიდა“ და საერთაშორისო ისლამური ფრონტი ჯიჰადისათვის ებრაელებსა და ურჯულოების წინააღმდეგ. მათ განახორციელეს 11 სექტემბრის ტერაქტი. უდავოა, რომ ისლამი, როგორც ძალიან პოპულარული რელიგიური მოძრაობა, პირდაპირ მოქმედებს მსოფლიო პოლიტიკური პროცესების რეალებზე.

<sup>7</sup> JOHN HORGAN, 2003 30-54pp

<sup>8</sup> ROHAN GUNARATNA, 2003, 47-67pp

<sup>9</sup> ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე - თბილისი 2009წ, გვ.69-80

## დასკვნა

ნაშრომის მთავარი ჰიპოტეზა გახლავთ რელიგიების გავლენის ზრდა პოლიტიკურ პროცესებზე. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ რელიგიური ფუნდამენტალიზმი, კერძოდ ისლამური ფუნდამენტალიზმი, რაც უშუალოდ კავშირშია გლობალიზაციასთან. უფრო კონკრეტულად შეიძლება ითქვას კიდევ, რომ არის გლობალიზაციის პროცესის შედეგი.

თემაზე მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე, შევეცადე მაქსიმალურად ამომწურავად გამეცა პასუხები თემის შესავალ ნაწილში დასმულ კითხვებზე: რა როლს ასრულებს გლობალიზაციის პროცესში რელიგია? რა მიმართებაშია მსოფლიო რელიგიები საერთაშორისო ურთიერთობებთან, რა არის ისლამური ფუნდამენტალიზმი და რა კავშირშია ის გლობალიზაციასთან?

გლობალიზაციისა და რელიგიის ურთიერთობა მრავალმხრივია; გლობალიზაცია არ ნიშნავს რელიგიისა და რელიგიურობის გაქრობას. გლობალიზაციისა და რელიგიის ურთიერთობის ძალზე რთულ პროცესს შეუძლია, სასიკეთოდ გამოაღვიძოს რელიგიების შემოქმედებითი პოტენციალი და უბიძგოს მათ ტრადიციული პოსტულატების უფრო ადეკვატური და თანამედროვე ინტერპრეტაციებისაკენ, რაც გარდაუვალი იქნება ყოველი რელიგიისათვის დამახასიათებელი თვითშენახვისა და თვითიდენტურობისაკენ ბუნებრივი მისწრაფებით. გლობალიზაციას სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს ისლამური ქვეყნების უმრავლესობა (გამონაკლისია მალაიზია, ინდოეთი, რომლებიც იხრებიან გლობალიზაციისკენ, გაურკვეველია თურქეთის ბედიც). ისლამში, როგორც რელიგიაში, ძვეს ის, რაც პრინციპულად შეუთავსებელია გლობალიზაციასთან, დემოკრატიაზე გლობალისტურ წარმოდგენასთან. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, აქ გლობალიზაციის პროცესისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება. თუმცა მთლიანობაში, იგი მას ეწინააღმდეგება.<sup>10</sup> თავისი ბუნებით. რელიგიები ისწრაფვიან ტრანსნაციონალური მიზნებისა და საერთაშორისო სტრატეგიების განვითარებისკენ. მათ შეუძლიათ, გასცდნენ საზღვრებს. რასაც ვერ ახერხებს ვერც ერთი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. ყველა რელიგიას ამ პროცესისადმი საკუთარი პოზიცია გააჩნია, თუმცა რეალური მდგომარეობის ლოგიკურ-ისტორიული ანალიზი ხშირად მრავალი გავრცელებული აზრის საპირისპირო მტკიცების საშუალებასაც იძლევა. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ყოველგვარი გლობალიზაციის გარეშე დამყარდა სეკულარული ღირებულებები, რომ არაფერი ვთქვათ ე.წ. კომუნისტური სამყაროს ქვეყნებზე, რომლებიც არა მარტო სეკულარიზებული, არამედ მეტრძოლი ათეისტური ქვეყნები იყვნენ, რაც ვერაფრით ვერ დაუკაშირდება გლობალიზაციის პროცესს.

გლობალიზაციისა და რელიგიის ურთიერთობის პრობლემა ცალკე მეცნიერული კვლევა-ძიების საგანია. ამჯერად ჩვენი ინტერესის ობიექტია გლობალიზაციაზე რეაქციის ძირითადი ტიპები რელიგიურ სფეროში. კერძოდ, რა მიმართებაშია ამ პროცესთან მსოფლიო რელიგიები? როგორია მათი პოზიცია და შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერების დადგენა?

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მეცნიერულ გამოკვლევებზე დაყრდნობითა და ფაქტობრივი ანალიზის საფუძველზე სამი ძირითადი პოზიცია იკვეთება: 1) გლობალიზაციის პროცესისადმი სრული ადაპტაცია; 2) ანტიგლობალიზმი და კრიტიციზმი; 3) საკუთარი ალტერნატივა. ყოველი რელიგია გლობალიზაციის საკუთარ ხედვას გვთავაზობს და თითოეულ მათგანში, ძირითადად ჩადებულია, თვითგადარჩენისა და თვითშენარჩუნების იდეები და გზები. ერთი დამაჯერებელი ნეგატიური ან პოზიტიური პოზიცია არ არსებობს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დომინანტურია სამი ძირითადი პოზიცია: ადაპტაცია, ბრძოლა და საკუთარი ალტერნატივა. გლობალიზაციის იდეისადმი მეტნაკლები ადაპტაციით გამოირჩევა პროტესტანტიზმი. პროტესტანტები თავინათ თავს გლობალიზაციის მონაწილეებად თვლიან. ამ ტიპის ადაპტაციისთვის დიდ ძალას ხარჯავს კათოლიციზმი, რომელიც მისდამი ფრთხილი დამოკიდებულებით ხასიათდება. გლობალიზაციაზე ადაპტაციის მაღალი ხარისხით ბუდიზმთან ერთად ინდუიზმი გამოირჩევა. მისი მიმდევრები გლობალიზაციაში ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავენ.

<sup>10</sup> იან შოლტე, თბილისი, 2004 წ, გვ 4-37

როგორც მასალებზე დაყრდნობით ჩანს, გლობალიზაციის აღქმასთან დაკავშირებით უფრო მეტი სირთულეები ახასიათებს ისლამსა და მართლმადიდებლობას. ისლამთან მიმართებაში ამას პოლიტიკური ახსნა აქვს. კერძოდ, იგი უკავშირდება გამწვავებულ წინააღმდეგობას დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის. ისლამი გლობალიზაციას აღიქვამს, როგორც დასავლეთის ქრისტიანობის მცდელობას, მოახდინოს მუსულმანური სამყაროს ტრანსფორმაცია და აქციოს იგი საკუთარ მარგინალურ ანალოგად.

რელიგიური ფაქტორები არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი გავლენით გადანყვეტილებების მიღებასა თუ თუ საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე. პარალელურად ისინი ახდენენ უფრო სტრუქტურირებულ გავლენას.

და ბოლოს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია გლობალიზაციისადმი ნათლად არის გამოხატული სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში, რომელიც რეალობის იგნორირებას კი არ ახდენს, არამედ გვთავაზობს მისდამი გონივრულ მიდგომას და გლობალიზაციის პროცესის იმგვარ გააზრებას, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული და რელიგიური იდენტურობის შენარჩუნებას.

### **ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე - ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში (გლობალური და რეგიონალური ასპექტები), თბილისი 2009წ.
2. სემუელ ჰანტინგტონი - „ცივილიზაციათა შეჯახება“ თბილისი 1997წ. საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია პლურალიზმის ცენტრი.
3. კ.ომე - „მსოფლიო საზღვრებს გარეშე“, 1990წ
4. იან შოლტე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია(ქრესტომათია). თბილისი, 2004 წ.
5. JOHN HORGAN – “THE PSYCHOLOGY OF TERRORISM” 2003
6. ROHAN GUNARATNA – “INSIDE AL QAEDA GLOBAL NETWORK OF TERROR” 2003
7. <http://www.iasc-culture.org/THR/archives/Rel&Globalization/4.2BIntroduction.pdf>
8. [http://www.almasjid.com/content/fundamentalism\\_and\\_terrorism](http://www.almasjid.com/content/fundamentalism_and_terrorism) “FUNDAMENTALISM AND TERRORISM”
9. <http://www.mustaqim.co.uk/fundamentalism.htm> “WHAT IS ISLAMIC FUNDAMENTALISM?”
10. <http://www.e-ir.info/2014/07/16/religion-and-globalization-new-possibilities-furthering-challenges/> DANIEL GOLEBIEWSKI, JUL16 2014
11. <http://www.davidlehmann.org/david-docs-pdf/Pub-pap/Religion%20and%20Globalization%20proofs.pdf> DAVID LEHMANN, RELIGION AND GLOBALIZATION, chapter 16
12. <http://www.foreignaffairs.com/articles/67467/leah-farrall/how-al-qaeda-works>
13. W.RAYMOND DUNCAN, BARBARA JANCAR-WEBSTER, BOB SWITKY, third edition – WORLD POLITICS IN THE 21<sup>ST</sup> CENTURY